

სახალხო საქმი

ფასი 50 კაპ.

სადგ. ქვადონი უჩადთა ბრბოს გაუბრცავს. ტუბულის მალაროების შუშები გადგვას აპირებენ.

მთავარი კომიტეტის ორგანო

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„სახალხო საქმი“

ღირს: თვით 10 მან., ნომერი ღირს პროვინციასა და ტფილისში 50 კაპ., რეინის გზის სადგურებზე 60 კაპ., განცხადება: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტრიტი პირველ გვ. 60 კაპ., უკანასკნელ გვ. 40 კაპ. სამგლოვნიარო განცხადება 15 მან. ხელის მოწერა და განცხადება მიიღება რედაქციის კანტორაში ყოველ დღე დღის 9—3 საათამდე, სასალოის ქუჩა, № 6, ფოსტის ყუთი 190, ტელეფონი 12—29.

ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურენი ამით აცხადებენ, რომ ავგისტოს 20-ს მოულოდნელად გარდაიცვალა მათი თანამოსამსახურე

აპაკი გესარიონის კე გრეზაკი.

პანაშვილი ავგისტოს 23 ქვეშეთის ეკლესიაში საღამოს 7 ს. გამოსვენება შეხატოს დილით 11 ს. წმ. ნინოს სასაფლაოზე. 1282

საქ. სოციალისტ-დემოკრატიული სახელმწიფო შტაბი და ბათუმის პარტიზანული პოლკი ამით აცხადებს, რომ ავგისტოს 20 ს. უეცრად გარდაიცვალა

აპაკი გესარიონ ს კე გრეზაკი.

პანაშვილი ავგისტოს 23 ქვეშეთის ეკლესიაში, გამოსვენება იმავე ეკლესიიდან შეხატოს, დილის 11 ს. და დაკრძალვა წმ. ნინოს სასაფლაოზე. 1282

ღრმად დამწუხრებული მთავარ-დიაკონი ფოთის საკათედრო ტაძრისა ვასილ ნესტორის ძე ლათიაძე, დედა პასიკო, მამა გაბრიელ და და ანა ჯგუზიანი, სიმამრი ნესტორ და სიდერო ანასტასია, მამაობი ათანასი, გიორგი, ალექსანდრე და ეფრემი, რომლები ივლიტა და ნასტია ლათიაძეები მუდმივად ეგვიპტეში და ავრ. ფინა ქავთარაძესი. აუწყებენ ნაცნობთ და ნათესავთ, რომ ორმოცი დღის წირვა და პანაშვილი

თეოდოსია ნიკოლოზის ასულის

ლ ა ი თ ა კ ი ს ა

გადახდილი იქნება ფოთის საკათედრო ტაძარში და ადგილობრივ სასაფლაოზე 12 საათზე დილით, შეხატოს ავგისტოს 24-ს ახლის სტილით. 898.

ღრმად დამწუხრებული: შვილები, რომელი და შვილის შვილი აუწყებენ ნათესავთ და მეგობარ-ნაცნობთ, რომ ქალაქ ფოთში უეცრად გარდაიცვალა მათი საყვარელი ძვირფასი მამა, მამაბილი და ბაბუა

სპირიდონ გლ ხოს კე ჩიბაია

888.

სამსონ დანიანის

ლექცია

რომელიც დანიშნული იყო ხუთშაბათს ქ. თელავში შესვლამდე შეხატოს, ავგისტოს 24 ახალი სტილით.

ღიმი ციკრი

პ. ეფიმიოვიჩისა

ძიხელის პრ., მუშტ., ახლო, საკუთ., ახლო შევეთ. კაპიტალური სახანორო შერობა, ტელეფ. 18—60.
დღეს, ავგისტოს 24-ს გაიმართება

სადღესასწაულო წარმოდგენა

მონაწილეობენ საუკეთესო მსახიობები: ლასტუხინსკი, ცოკი ვოლდემარი და სხვა.

888 მთავარი ადმინისტრატორი პ. ელიზაროვი

ტფილისი. ავგისტოს 23

წინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგმა ბენამ საბახტარაშვილმა ცირკულიარით მიმართა საგუბერნიო და სასამართლო ადმინისტრაციას, ამ ცირკულიარში მინისტრის ამხანაგი წინადადებას აძლევს რაიონის კომისრებს პირადად დაესწონენ კომისრების არჩევას და საზოგადო კომისრები ერთგვარ უფლებებზე კლავრატში ჩააყენონ. ერთგვარულა საბჭო განსაკუთრებული ყურადღება მიექცია სოფლის ადმინისტრაციას და, მიუხედავად ფინანსური კრიზისისა, მაინც დიდი კრედიტი გაუხსნა წინაგან საქმეთა მინისტრს. პირველ ხანებში მიმართა სოფლის ადმინისტრაციის განთავსების უფლებებზე ადმინისტრაციის შესახებ ხარჯებისგან სოფლის კომისრები გამაგირს მთავრობისაგან მიიღებენ. წინაგან საქმეთა მინისტრის სიტყვაში იღებს, რათა ერთგვარ და სამუდამოდ სოფლის ცხოვრება წესიერ კალაპოტში ჩავდეს და ბოლო მოელოს. უპასუხისმგებლო პირების თარგმნ.

ესლა სიტყვა ადგილობრივ ადმინისტრაციის ეკუთვნის და უპირველესად ყოველსა კი მზრის კომისრებს. თუ მზრისა და რაიონის კომისრებმა ენერგულად იმუშავეს, განიშკვალენ მომენტის შნიშვნელობით და ენერგულად გაუწოდეს ხელი მთავრობას, სოფელში აუცილებლად დაიწყება წესრიგი და ფართო ასპარეზი გაეშლება საკონსტიტუციო გარანტიებს: დაცული იქნება სიტყვის თავისუფლება, დაცული იქნება ხელ-შეუხებლობა პი-

როვნებისა. ადგილობრივი იქნება სასამართლო, რომელიც დარაჯად დაუდგება რესპუბლიკის კანონებსა და საზოგადო კანონიერებას და, რაც უფრო საყურადღებოა, შესაძლებელი გახდება წესიერი, კანონიერი გადაწყვეტა მიწის საკითხისა, რაშიც ასე ძალიან არის დაინტერესებული ჩვენი ხალხი.

ხალხმა უნდა ვიგოს და აღინისტრაციამაც უნდა განუმარტოს, რომ ყოველად შეუძლებელია მიწის საკითხი მალე და წესიერად გადაწყვედეს, გადასწყვედეს ისე, როგორც ხალხისთვის სასარგებლოა, თუ სოფელში წესიერება არ დამყარდება. სოფელში ათანასიური ავადმყოფობა ვრცელდება. გადამდები ნეულებანი მუსრს ავლენს ხალხს. საქონლის ღირის სპობს საქონელს. ყველაფერი ამას ვერასოდეს უფრო გაუძღვება მთავრობა, თუ სოფელში წესიერება არ დამყარდება და ათანასიური ბნელი ელემენტის თარგმს სოფელში ბოლო არ მოეცოს.

სოფლის ადმინისტრაცია უნდა განიშკვალოს ამ აზრებისა, გაუწოდოს ხელი მთავრობას და შეუდგეს საყოფიერ შემოქმედებით მუშაობას ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ და ბრწყინვალე მომავლის მისაღწევად.

პროვინციული პოლიტიკაში.

სამტრედიელ სოც. დემ. დადგენილების გამო საქართველოს ნორჩ რესპუბლიკის ყველაზე უფრო სახიფათო და სუსტი მხარეა ძლიერი ცენტრის უქონლობა, პროვინცია თითქმის მოწყვეტილია პოლიტიკის მსგავსების მთავარ ღერეს და ზოგან ეს მოწყვეტა და „ოფიციოზობა“ იქამდე აღწევს, რომ პატარა პროვინცია ხდება სახელმწიფოდ სახელმწიფოში. ეს ქმნის ანარქიას და ძირს უთხრის ჩვენი დამოუკიდებლობას. ჩვენში მომქმედ პოლიტიკურ პარტიათა ხელმძღვანელებმა ეს აზრი საკმაოდ შეითვისეს და თავის ირგვლივ იკრებენ ყველა ცოცხალ ძალეს.

მართო ნაც. დემოკრატებს შეაქვთ დისპარმონია ამ საერთო ფრონტში, მაგრამ სოციალისტურ პარტიათა თანხმობა იმდენად დიდი, რომ ოდნავდაც ვერ გასტეხეს ეს თანხმობის სიმტკიცე. საშობლოს და შრომელი ხალხის სასიცოცხლო ინტერესებმა ამ კრიტიკულ მომენტში, როცა გარეშე და შინაური მტრები შრავლად შემოგვესია, წარმოშვა საოცარი თანხმობა სოციალისტურ პარტიებისა, რომელთაც მთელის არსებით განიცადეს პასუხისმგებლობა მომავალ თაობათა წინაშე.

განსაკუთრებით ეს შეგნება გამოიჩინეს სოც.დემ. და სოც.დემ. და თავიდანვე შეეცადნენ დემოკრატიის ძალეების გაერთიანების, ერთი ფრონტის შექმნის იდეა პროვინციებში გადაეტანათ.

მართალია, ამას ხელს არ უწყობდა ის ატმოსფერო, რომელიც თავიდანვე შეიქმნა განსაკუთრებით პროვინციებში პარტიულ შელა-შემოხლის ირგვლივ, ის სექტანტიზმი, რომელიც საუბედუროდ თან დავდა ჩვენს სოციალისტურ პარტიებს, მაგრამ სოც.დემ. და ჩვენს სრული დარწმუნებული ვიყავით, რომ დღეს საბედისწერო მომენტი და საქართველო, რომელიც თავიდანვე ათწინა-წინააღმდეგე, მისი თავისუფლების ჩასახშობად, იმდენად ფიზიკურად იქმნებოდა, რომ ყოველ სექტანტიზმის საზღვრებს გარდალახავდა და თავისუფლების დროშის ქვეშ მოუყრიდა თავს ამ ორ პარტიას.

სამშობლოს ძახილი მათში ერთნაირ გამოხატულებას იპოვდა ისე, როგორც ეს მოხდა ცენტრში—საქართველოს პარტიულ მომენტში.

სამწუხაროდ ეს ყველაფერი ასე არ არის. პროვინცია ისევე თავისი საკუთარის, ვიწრო პოლიტიკით ცხოვრობს, პარტიულ

ჩარჩოებს ვერ გასცილდა და ნატყვნის გზით მიდის. ახალ ხანის შემოქმედებამ იქ ვერ გამოიწვია სათანადო ენერჯია და ჩვეული გზა უფრო ადვილი შეიქმნა. საერთო პოლიტიკური მასშტაბით საქართველოს საკითხი აქ არ ისმის და ძველებურად პროვინციული ხეობის სული ტრიალებს. ყველაზე ცხადად ეს სჩანს არჩევნებში. ხელმძღვანელობა ორგანიზებასთანხმობა ჩამოავდეს და საქართველო ბლოკი, სათანადო დირექტივებიც მისცეს პროვინციას, მაგრამ აქ ყველაფერი შეიგნო საერთო პოლიტიკური მომენტი ამ არჩევნებისა და ისევე ვიწრო-პარტიულად მიუდგა საკითხს. რამდენიმე ადგილს დაკარგვის შიშით უარყო ბლოკი და ცალკე სიით ეპირება გამოსვლას.

თუ შედეგობაში მივიღებთ იმ არა ნორმალურ მდგომარეობას და ატმოსფეროს, რომელიც ხდება საზოგადოდ არჩევნები ჩვენში, თუ მხედველობაში მივიღებთ მთელს გამწვავებას საარჩევნო კომპანიისა და დაუირიდებელ ბრძოლას პარტიათა შორის, ადვილი წარმოსადგინია რა უბედურება ვითარდება ამ პარტიათა შორის, რომელთა შეთანხმებას ასე მოითხოვს დღეს საბედისწერო მომენტი.

ამით შეიძლება ერთად დავარდვიოთ ის პარტიები, რომელიც შეიქმნა ცენტრში და გაეადვილოთ ნაც.დემ. იერიშები დემოკრატიულ საერთო ფრონტის წინააღმდეგ. ჩვენმა გსტრებმა, სამწუხაროდ ყველაფერი, ეს ვერ შეიგნეს და განსაკუთრებულ მომენტით, ზოგ წრეთა შეუგნებელ უპასუხოლობით სურათ ისარგებლონ—ცალკე დაირაზმონ და უპასუხოლოთა ხმებით რამდენიმე ადგილი იპოვეს. აღბად ეს სექტანტიზმი პოლიტიკაზე გატყუდება, ჩვენს საამისო ნიშნებს ვხედავთ და საერთო სახელმწიფოებრივი შეგნება საკმაო გამოხატულებას პოებს ამ პარტიის უფრო წინააღმდეგულ წრეებში.

მაგრამ ვიმეორებ, პროვინციებმა ს.დ. ვერ გადალახა ზოგან ეს პროვინციული და შეთანხმებას, ცოცხალ ძალების დაკავშირებას, საჭირო მკოდნე პირების საქმეში გამოყენებას მწვავე ბრძოლა არჩია.

გუშინ კორესპონდენტი გვეწერდა სამტრედილიდან: სოც.დემ. ბლოკი უარცვებს და ცალკე სიით გამოდიანო.

ცხადია, ის საშინელი ატმოსფერო, რომელიც თავიდანვე იყო ამ რაიონში, დღესაც ვერ გატყუდა და მომავალში უფრო გამწვავებას აპირებს. აღბად ბურჟუაზიულ პარტიებს მეტად ახარებს ეს მოვლენა და იმედი აქვთ, რომ პროვინციული ცენტრში გადმოვა ეს უთანხმოება და მაშინ ადვილი იქნება სოციალურ მთავრობის შემუსვრა. სამტრედიელმა სოც.დემ. ამ მოვლენას ანგარიში არ გაუწიეს და პოლიტიკურ მომენტში გვერდი აუხვეს, რამდენიმე ადგილი ამჯობინეს შეთანხმებას.

შესაძლოა სხვაგვარაც მოვლად აქვს ადგილი ასეთ მოვლენას. დარწმუნებული ვარ სამტრედიელი სოც.დემ. გადასინჯავენ ამ დადგენილებას და პროვინციული ხეობის პოლიტიკას, პარტიულ კინკლაობას, წინ დაუყენებენ საერთო სახელმწიფოებრივ ინტერესებს, ხოლო ეს კი შეთანხმებისაკენ მოუწოდებს ამ პარტიებს.

შეიძლება ცენტრიც სათანადო ყურადღებით მოეპყრობა ამ საკითხს და ეცდება პროვინციაში რეალურად გადაიტანოს ფრონტის მთლიანობის იდეა.

ა. კ. ვა

ქართული პრესა

ჩვენი მკითხველები უკვე იცნობენ ქ. გოგიბერიძის საქმეს იმ წერილით, რომელიც დაბეჭდილი იყო ჩვენს გაზეთში („ორი მკვლელობა“) ამ საქმის გამო გაზეთი ეერთობა სწერს.

გაზეთებში ცნობა იყო მოთავსებული კალენიკე გოგიბერიძის დატყვევების შესახებ. ამ ჯამად ის ისევე თავისუფალია: ამბობენ, გამოშვებულმა

გამოუშვაო, ჩვენ ამის შესახებ არას ვიტყვი. გამოშვებულს საქმეში არ ჩაერთვით, მაგრამ საქმის ვარდობა ისეთია, რომ იქვე იბადება: თვით გამოშვებულს ხომ არ იმყოფება რომე ვაგლენის ქვეშ. ამას იმითვე ვამბობთ, რომ ჩვენს რედაქციის მოუვიდა ორი საპროტესტო წერილი. მართალია არც ერთი არ არის ხელმოწერილი, მაგრამ ორივეს ბეჭედი აქვს დასმული: ერთს—„ცენტრალურ წითელ გეარადის შტაბის“, მეორეს—რესტორანების მოსამსახურეთა კავშირისა“. პროტესტის ტონი ერთოდ კათეგორიულია, „შტაბის“ მეტად აღუვლებულია, რომ იუსტიციის მინისტრს განუარსებდეს გაუცია კალენიკე გოგიბერიძის დატყუარების შესახებ“.

არა გგონია ასეთი გაველენის მოხდება დასაშვებო იყოს.

არსებითად კითხვა ასე სდგას: „სახალხო საქმეში“ კინზე ჩელო ერთოდ გარკვევით აღებს ხელს კალენიკე გოგიბერიძის. რომანის გამორიც არ ვთვლითა გამოვლილი: ვინმე კ. გ. ლი შემობრძანდა ჩვენს რედაქციაში და წერილის დასტამბავ ვეთხოვა, რაზედაც უარი მიიღო ჩვენ არ ვამბობთ, რომ კალენიკე გოგიბერიძის რომანში და მკვლელობაში წილი უდევს. ჩვენ არ ვიცით, მაგრამ ფაქტია ის, რომ პირველ მკვლელობას გოგიბერიძე თითონ არ უარყოფს, ხოლო იმულებით თან-დაცვით ანათვლებს. მაგრამ „სახალხო საქმეში“ პირდაპირ ეუბნებიან: ზურგიდან აქვს ნასროლითა გოგიბერიძე კი ამტკიცებს: წინიდან ვესროლენ და ამის შესახებ ექიმის მოწმობაც არისო. მეორე მკვლელობას კი სულ უარყოფს.

შეიძლება ეს მართალი იყოს, მაგრამ ამას გამოიძიება უნდა. ასეთ პირობებში კი, როცა გოგიბერიძის საქმეში ერევა შტაბი, კავშირი და სხვა, გამოიძიება შეუძლებელია.

შეათბელებლად იესთია, რომ გოგიბერიძე არ უნდა იყოს მართალი. მაგრამ ეს ხომ ლიტონი შეათბელებლად.

ჩვენ კვლავ მოვიტოვებ უარდა ავხალის ამ ბნელ ისტორიას. თუ გამოამიძებლეს მართალია არ აქვს რაიმე სახელი, გოგიბერიძე, როგორც მისიანი და კავშირების თავდადობარე, და ავრდევ გვარდიასთან დაახლოებულნი პირი, ხეობრივად მიინც არის ვალდებული თავი იმართლოს.

ვიმეორებთ „სახალხო საქმეში“ ერთოდ გარკვევით არის წამოყენებული ბრალდება და ლიტონი განცხადება გამოიძიებისა უდასაშუალოდის შესახებ ვერაფერს ვერ დარწმუნებს.

ჩვენს გაზეთში დაბეჭდილ წერილის ავტორი ჩელოც ამბობდა, რომ არ ვიცით ამ ორ მკვლელობას პირდაპირი კავშირი აქვს თუ არაო. ყოველ შემთხვევაში ჩვენც აუცილებლად მიგვაჩნია სასტიკი გამოძიება, ვინაიდან ერთის მკვლელობას არც თვით კ. გოგიბერიძე უარყოფს. მაშ რა საჭიროა გარეშების ჩარევა და ძალ-დატანება? რე თუ არ ესმით სხენებულ ორგანიზაციებს, რადეფერ საშუალოდ უწყვიტავს „პროტესტის“ და როგორ არღვევენ სახელმწიფოებრიობის და კანონიერების ელემენტარულ მოთხოვნილებას?

თურქების პრესა

სტამბოლში არსებული გაზეთი „თესვირი-ფაქარ“-ი ადერბეიჯანის დღგეგებების შესახებ გამოგვეცემს შემდეგ: ოცულ პერეპალასში ჩამომტარა ადერბეიჯანის დღგეგაციის სახანავად ჩვენი თანამშრომელი გავგზავნეთ. დღგეგაციის შემადგენლობის თავმჯდომარე მემედმინ რასულზადემა და ადერბეიჯანის იუსტიციის მინისტრმა ხელმოწერა ჩვენი თანამშრომელი წრფელის გულთ და პატივისცემით მიიღეს. რასულზადე შევედემინი სანამ ომი დაიწყებოდა, ორი წლის წინდ სტამბოლში იმყოფებოდა და რამდენსამე ხანს ჩვენს მამა-დიანურ გაზეთებში მოღვაწეობას ეწეოდა. მოგვყავს თანამშრომლის და დელგეგაციის საუბარი:

— ადერბეიჯანის მთავრობის და მისი სახელმწიფოებრივი სახის შესახებ ცნობება მოგვეცემ?

— ადერბეიჯანის სახელმწიფოებრივი სახე ჯერ ვერობით რესპუბლიკანურია.

მთავრობის ეროვნული საბჭო და ერთი-ადამიარსებული ორგანო აქვს. ეროვნულ საბჭოში ყველაზე ძლიერი პარტია თურქ ფედერალისტების (მუსავათის) პარტია არის. გარდა ამისა მაჰმადიან-სოციალისტთა ჯგუფის, სოციალ-დემოკრატ (გუშმეტი-სიმეტი) პარტია და პანსლავიანების პარტიაც არსებობს. მაგრამ დღევანდელი მთავრობა კი პოლიტიკური პარტიების საფუძვლებზე დაყრდნობით არაა შემდგარი. დღევანდელი კრიტიკული მდგომარეობა მხედველობაში არის მიღებული და საქმის კაცებისაგან და მოვლუფთაგან შესდგება მთავრობა. ბაქოს ბოლშევიკებისაგან გაწინდამდე და შინაგანი და გარეშე საქმეების დამამარცხოვლებელი მიზეზების თავიდან აცილებამდე ეროვნულმა საბჭომ თავის ნდობით აღჭურვილი ფეთხე არ-ხანხოსისი თავმჯდომარეობით მთავრობა ამოიწვია. მათ სრული უფლებები მიანიჭა და განუსაზღვრელ დრომდე სხლმა შესწყვიტა. პირველი მოვალეობა კი გარეშე მტრებისაგან სამშობლოს დაცვა და შინაური არეულობის დაწყინარებაა. რაიც მთავრობის განზრახვა ჯერ-ჯერობით სისრულეში მოდის და ხალხიც თავის დიოტრ მუშაობას ეტანება. მთავრობაც ამავ დროს დამფუძნებელი კრების არჩევნებს უნდა შეუდგას. საერთო არჩევნების წესებზე დამყარებით აუჩუქებამ დამფუძნებელმა კრებამ ადერბეიჯანის სახელმწიფოებრივი სახე გადარჩინა უნდა შექმნას. საბჭო, არა უგვიანეს ექვსი თვისა უნდა შეიკრიბოს. ჯერ-ჯერობით მთავრობის ცენტრი მთავრობისა ბაქო იქნება.

კავკასიის სხვა სახელმწიფოებთან დამოკიდებულება თქვენი როგორი არის? — ჩრდილო კავკასიის სახელმწიფოსთან დამოკიდებულება ჩვენი რამდენადაც შეიძლება, წრფელია. აგრეთვე ქართველებთანაც და სომხებთან დამოკიდებულება ჩვენი მეგობრულია. ჩვენ შორის სადაც მხოლოდ საზღვრების საკითხი. ამ საკითხისაღმართადაც დაწვეტიდა იმედი ვაქვს.

თურქებთან როგორი დამოკიდებულება ვაქვთ, შემოძლიან შეგვეთხოვთ? — ადერბეიჯანი თურქებს ძმადვე უყურებს. ადერბეიჯანის მოპარტიებისაზე და თვით ხელშეკრულებით განჯაში მყოფი და დღეს დღემდე ადერბეიჯანის ეროვნულ ძალასთან ერთად ბოლშევიკებზე ვალაშტებულ თურქების არმიისაღმართ ჩვენს ერში გამოცხადებული ძმური განწყობილება ამტკიცებს. ამ დამოკიდებულების ყოველი განმარტებაც რომ მალე სდგას.

სტამბოლის კონფერენციაზე რაინარი საკითხები უნდა გაიჩინეს? — ამ საკითხზე ჯეროვანი და გარკვეული პასუხის მოცემა ძელია. გარდა ამისა არაფერ გვინახავს და არც ვიცით, რა დროს დაიწყება მოლაპარაკება.

როგორი დამოკიდებულება ვაქვს რუსეთთან? — რაც შეეხება რუსეთთან ჩვენს დამოკიდებულებას, ყოველი ერის დამოკიდებულების უფლებებისა მცნობელი და თვითგამორკვევის საფუძვლებზე დამყარებით ხალხის მიერ თვისი სუბედის მართვა-განგებობის მიმღები რუსეთი ადერბეიჯანის დამოკიდებულობასაც იცნობს და თანაც რუსეთის სამართლიანი დემოკრატიისადმი დიდი იმედი ვაქვს, რომ ამ შეთხვევაში დიდს დაზარალებასაც არ შეგვდებოდა, დღეს ადერბეიჯანში მყოფ რუსებს ჩვენი ხალხი კეთილ სინდისიერად ეპყრობა. ეყენის ადერბეიჯანში თუ ინებებენ დარჩენას და ადერბეიჯანის დამოკიდებულების გრძობას იზარაბენ, როგორც ადერბეიჯანის მოქალაქე, ისეთი უფლებები მიენიჭებათ.

ადერბეიჯანის ქალები პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობას მიიღებენ? — დღევანდლამდე არსებული საარჩევნო კანონების უფლებებით მანდილოსნებაც სარგებლობდნენ.

ჩვენმა თანამშრომელმა რასულ-ხადეს მადლობა გადაუხადა საუბრისათვის და გაეყარა.

მთავრობა

ფინანსთა მინისტრის მოხსენებით, ბონების პასუხის მდებლობითი განაწილების კომისიაში წევრებად დანიშნენ: ფინანსთა მინისტრის ახანაი კანდელაკი, სახალხო განათლების მინისტრის ანხ. აღ. სელიფანი, საფინანსო საბჭოს რეკომისიის წევრი ი. ლოთოჭიანიძე. ეს დიდგნებები გარეშე საქმეისა მინისტრის მიერ უნდა ეცნობოს სომხის დიპლომატიურ წარმომადგენელს,

რომ მათაც დანიშნონ თავისი წარმომადგენელი ხსენებულ კომისიაში.

შინაგან საქმეთა მინისტრის მოხსენების თანახმად, ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურების ჯამაგირების მომატებისა და ერთდროული დახმარების შესახებ მთავრობამ დაადგინა: 1) საქართველოს ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურების მთავრობის გადაჭრით აღადგინოს 150 მან. 2) მიეცეს მათ ერთდროული დახმარება 100 მან 8) როგორც ჯამაგირების მომატება, ისე ერთდროული დახმარება ენება მხოლოდ იმ მოსამსახურებებს, რომლებიც დარჩებიან შტატის შემოღების შემდეგ. 4) დავალოს შინაგან საქმეთა მინისტრს, დაუყოვნებლივ მოახდინოს ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა შტატების შემოღება ამ ეამად არსებულ სახელმწიფოს მოთხოვნების მიხედვით. 5) გამოცხადოს ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურების საშუალებით, რომ მთავრობის მიერ მიღებული იქნება ზომები, მათი პური უზრუნველსაყოფად. 6) ამ დიდგნებების ხარჯების დასაფარავად გაეხსნა შინაგან საქმეთა მინისტრის შესაფერის სესხი 10 მილიონის ფონდიდან.

უპანასკნელი სმოგავი

ჩრდილო კავკასიაში. ამიერ-კავკასიის რუსთა ეროვნულმა საბჭომ შეიმდეგე დეკრეტი მიიღო ტუაყსიდან თავისი წარმომადგენლის ენერჯისაგან, რომელიც გაგზავნილი იყო ფოსტისა და ჩრდილო კავკასიის ნეთსადგურებს შუა მიმოსვლის მოსაწყობისკენ: „გეგმები არ არის ტრანსპორტის ყოფილი კომიტეტი დაიხსნა. არამოკიდებულება მიმოსვლა შეწყვეტილია ყუბანის ოლქში ყველგან ბრძოლა. თუ ნოვოროსიისკენ გეგმები ვერ ვიშვებ, ქერჩში გავეუბავრებთ“.

ფონ-დერ-პოლცის ჩამოსვლა. ტფილისში ჩამოვიდა საქართველოში მყოფი გერმანიის ჯარების მთავარ-სარდალი პოლკოვნიკი ფონ-დერ-პოლცი.

გერმანულ მრჩევლის ადიუტანტი. გერმანიის სამხედრო მისია იუწყება, რომ საქართველოს სამხედრო სამინისტროსთან მყოფი გერმანულ მრჩევლის ადიუტანტად დაინიშნა კაპიტანი კიხეი.

სამხედრო მინისტრის ბრძანება

სამხედრო უწყებისადმი. ავეისტოს 13-ს, ეროვნულმა საბჭომ მიიღო ძირითადი კანონები რეგულირებად ჯარის ორგანიზაციისა. მამულიშვილო! მარად სახელ-მოსილნი იყავით მაღალ სამხედრო სიმამიკით და მხოლოდ უკანასკნელ წელთა მგლებლზე შეეცადეთ ზოგიერთებში ქართველის ისტორიული სიყვარული სამხედრო საქმისადმი.

მუდამ მტრებით გარშემორტყმული ქართველისათვის მხედრად ყოფნა, ყოველთვის პატესადებით მოვალეობა იყო განსაცდელი, ყოველმხრიდან რომ მოეღოს სამშობლოს, მაძღვეს იმედს რომ ქართველთა ეს ბუნებრივი ღირსება კვლავ სასებებში გაიღვივებს თქვენში და უზრუნველსაყოფს საქართველოს სახელმწიფოს ძლიერების ორგანიზაციის საქმეს. სამხედრო კანონის მიღების დროს ეროვნულმა საბჭომ საქმიერად სწრაფ, სამსახურში მყოფი მხედრობა იყოს პოლიტიკის გარეშე. საკუთარ სამშობლოს ასარგებლო საქმეთა გულწრფელ სურვილით, ყოველი მხედარი ვალდებულია გასწიროს ასეთი მსხვერპლი და შე იმედს მატკეს, მრავალთა შორის ვიყოვემ თანაგარსობასა და დახმარებას ამ აუცილებელ ზომის გატარებისათვის.

ის მიმე პირობები, რომელშიაც გვიხდება არმიის შექმნა, ყველას გვაგვიძებს გავიორკვეთ ენერჯია და საქმის სარგებლობისათვის გავწიროთ ყოველგვარი შესაძლებელი მსხვერპლი, როგორც აფიციებმა ისე ჯარის-კაცებმა უნდა ვამოთხინოთ სრული წესრიგში შეგებულ შრომისა და სურვილი ერთი-მეორის დახმარებისადმი.

გუბრძანებ ყველას, ჯარის-კაცადან მაღალ-თანამდებობის უფროსებამდე ნუ დაზოგვენ ნურავითარ ღონისძიებას, რათა სასარგებლოდ გამოიყენოს ის მცირე ხანი, ახალგაზდა ჯარის-კაცთა მოწყვეამდის რომ დაგვარა. თქვენ, როგორც გამოცდილი ძველი მხედრები უნდა შეიტქმნეთ მათ ავტორიტეტთან ხელმძღვანელებად და დამარცხდებოდ. რისთვისაც თვით თქვენ უპირველესად უნდა იყოთ მტკიცე და მკაცრი სამხედრო საქმისა და კანონებისა.

სამხედრო მინისტრი გიორგაძე.

ოგის დეპუტატი

დასავლეთის ფრონტზე. ბილჩინი, 8 21. კრონინი რუპრების ლაშქარი. ნეფ-ბერკინთან, მერვილესთან და ლისის სამხრეთით ჩვენმა ქვეითა რაზმებმა ინგლისელების იერიშები მოიგერიეს. ტყვიისმჭურველებითა და არტილერიით მტერი საგრძობლად დავახინეთ. სკარპის ორივე მხრით და ანკრის ჩრდილოეთით ქვეითა ჯარებს ბრძოლა აქვთ.

ბონინს ლაშქარი. რუსს ჩრდილოეთით გვარდია და ქვედა საქონის პოლკებმა მოიგერიეს მტერი, რომელსაც ავეისტოს 10-დან მოკონდა იერიშები. ავრსა და უაზოს შუა საარტილერიო ბრძოლა გამწვავდა. კრაპინილის ორივე მხრით, ლასონის ჩრდილოეთით და სანკრით და ნეუიონის სამხრეთ-დასავლეთით მალღობებზე მტერმა არა ერთხელ მოიტანა იერიშები. ყველა იერიში უწყალოდ ჩატარდა. ანკრსა და ავრს შუა ავეისტოს 8-დან ჩვენი იერიშების გამო მტრის 500 ავტომობილი გავიდა მეგრძოლთა ხაზიდან. ავეისტოს 18-სა და 19-ს უაზსა და ენს შუა მტერმა განახლა თავისი ცდა ფრონტის გარღვევისა. ძლიერი მხადების შემდეგ, ჯავშნოსანთა დახმარებით ფრანგებმა შეტევა დაიწყეს 25 კილომეტრის ფრონტზე. მტერი ჩვენს მოწინავე ხაზებში შემოვიჭრა შუაღლეზე მტრის პირველი შეტევა დაამარცხდა კარლე პონტ-პლევენკურტ-გენანონი-პალმიერის ხაზზე. მტერმა მიაღწია იუვიენის ფერდობებს: იგი იქიდან გაიკეცა. მტერი დამემდეგ განაგრძობდა თავის იერიშებს; ყველა იერიში მოვიგერიეთ ცეცხლისა და კონტრ-იერიშებით. ჩვენი საპაირო ძალებიც იღებდნენ მონაწილეობას. დამთ ჩვენმა ესკადრილამ ყუბარა დაუშინა და სატყვისმჭურველო ცეცხლში ვახვიდა ის ადვოლი, სადაც შეტევას აწარმოებდა მტერი. ამ რიგად ჩვენ პირველ დღეზე მოუსპოეთ მტერს საშუალება თავის ცდა განხორციელებისა და ფრონტი გაერღვია.

ბილჩინი, 8—21. სალამის ცნობა. ფლანდრიაში, კეიელის დასავლეთით ნაწილობრივ ბრძოლა. ანკრის ჩრდილოეთით, შაპონის მიმართულებით ინგლისელებმა იერიში მოიტანეს: იგი დიდად დაზიანებული გაერკეთა. აგრეთვე უწყალოდ ჩატარდა მტრის ცდა, ენსა და უაზს შუა ფრონტი გაერღვია.

იტალიის ფრონტი

3556. 8—21 ნერვისთან იტალიელი მხევრავები სცილობდნენ პიავს ადრესავლეთისა და დასავლეთის მხრით გაშვებებს, მაგრამ ამოდ. ეს რაზმები ჩვენ გაფანტდნენ. საარტილერიო ბრძოლა გრძელდება.

ალბანიის ფრონტი

საბაგლი, 8—21. იერუსალემ-ნაბოლის გრატიცილის დასავლეთით დამით ბრძოლა გაჩაღდა მტრის მხევრავებსა და ჩვენ პოსტებს შორის. მტერი გაიკეცა.

აღმოსავლეთის ფრონტი

საბაგლი, 8—21. ჩრდილო-დასავლეთ სპარსეთში ჩვენი ჯარი განაგრძობს წინსვლას გეგმის მიხედვით.

სოციალური

მოსკოვი, 8—20. ცენტრ. აღმ. კომ. ბიულეტენი.

ციხიბრძოლა

ციხიბრძოლის მთავრობა ვერ შეუთანხმდა გენ. ხორვატს და იგი კონტრ-რევილიტიონერად გამოაცხადა. ციხიბრძოლის მთავრობამ დაამოკიდნენ და „გრატიცის“ ეწვიან საოლქო საბჭოს წინააღმდეგ. მთავრობის დიქტატურის განხორციელება პუსტს. საბოლოოდ მოსკეს იღვა არა თუ საოლქო საბჭოს, არამედ დამფუძნებელი კრებისაც.

ბესარაბიაში

ბესარაბიის რკ. გზებზე მიმოსვლა ამ დღეებში შესწყდება ორთქმაველების უქონლობის გამო.

რუმინიაში

დაიწყო ხანა რუმინიის პოლიციის ტერორის მცხოვრებათა მიმართ. რუმინიაში ნავთის დიდი ნაკლებობაა. შაშხანდი. მოსკოვიდან. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეის ტაშკენტის ბანკისათვის ნათაოფნი 1 მილიონად და 700 მილ. მანეთი შეგვიძლია თანდათან გამოგვგზავნით. პირველ რიგში 500 მილიონს გამოგვგზავნით. რადგან მოსკოვსა და ტაშკენტს შუა მიმოსვლა გაანელებულია, სახიფათოა

ფულის გამოგზავნაც. ამიტომ გათხოვენება დართოთ და ადგილობრივ ბონების გამოყენება, რომლის უზრუნველსაყოფად ცენტრალური ბანკის სათანადო თანხა იქნება შენახული. მიმოსვლის აღდგენის შემდეგ ამ თანხას გამოგვგზავნით და ადგილობრივ ბონებსაც მაშინ ვაა-უქმებთ.

მოსკოვი 8—20.

ავეისტოს 15-ს კლრის დაამთავრა პეტროგრადის წითელი ოფიცრების პირველმა წყებამ. პეტროგრადის საბჭოს თავმჯდომარემ ზინოვიევი სახეობა სხდომაზე ჩააბარა მათ წითელი დროშა მან მიმართა წითელ ოფიცრებს სიტყვით, რომელიც ასე დაამთავრა: „სამეფო უნდა ვაჟუროხით და დავლოკით წყული ხიშტი, ეს ხალხის მტერი, როდესაც იგი არის ხიშტი ერის შეილებსა. გაუპარჯოს საბჭოთა თეიმპროდლობას. ჩაბარებული დროშა, მუშათა კლასის მებრძოლთა სისხლით შეღებილი და ცული იქნება პეტროგრადის საბჭოს შენობაში“.

მოსკოვი, 8—20. საგარეო საქმეთა კომისარია ჩიჩერინმა პოლანდიის ელჩის საშუაებით აცნობა შეთანხმების სახელმწიფოებს, რომ რუსეთში მყოფი მოქალაქეები შეთანხმების სახელმწიფოებისა—დიპლომატები, კონსულები და სხ.—მიიღებენ რუსეთიდან წასვლის ნებართვას იმ შემთხვევაში, თუ სამშობლოში დაბრუნებენ ინგლისში მყოფ, რუსეთის წარმომადგენელს ლიტვინოვს.

ახალი აზგავი

სპილენძის გაგზავნა გერმანიაში. ქალაქის თავი შუამდგომლობს ვაქრობა-ბრეველომის მინისტრის წინაშე ნება დაართოს მას, რომ გაგზავნოს გერმანიაში უმეფეოდ ან გერმანიის მისიის შემწეობით 5000 ფუთი დამუშავებული სპილენძის, რომლისაგან იქ სხვა და სხვა საინჟანერო ნაწილებს დაამზადებენ (ტრაფისთვის და სხვა) და ტფილისში გამოგზავნიან, მინისტრმა თავისი პრინციპიალური თანხმობა განაცხადა ამაზე. ამ მიზნისათვის გერმანიაში იგზავნება ტრამავის ინჟინერი კაქერი.

ქალაქთა დღეგაბების ყრილობა დანიშნულია სექტემბრის 5-სათვის. მონაწილეობას მიიღებს საქართველოს, და სომხების ქალაქთა საბჭოები, რომელნიც თითოეულ 20 ხმოსანზე თითო დღეგაბს გამოგზავნიან. მათ გარდა მონაწილეობას მიღება შეუძლიანთ ქალაქის თავებს, გამგებობის წევრებს, საბჭოთა თავმჯდომარეებს და ხმოსნებს, რომელნიც ყრილობის დროს ტფილისში იქნებიან.

სადერბო მარკები. ფინანსთა მინისტროსთან გამართულმა თათბირმა დაადგინა ხარჯების შესამოკიდებლად ადგილობრივ ექსპედიციაში დამზადდეს მხოლოდ საღერბო მარკების, პატენტების და სახელსწრე-სამრეწველო მოწოდებათა მთავარი ტიპები. სხვა გადასახადებისათვის კი ამ მთავარ ტიპებს მარკებს დაეკრავნენ. იმავე ექსპედიციაში დაიბეჭდნათ სათანაშო ქალაქი სურათები ძველი ქართული ყიდილა იქნება.

სომხები. საქართველოს მთავრობასთან მყოფმა სომხეთის წარმომადგენელმა მუქუზა მიიღო, რომ ოსმალთა მთავარ სარდალმა ესად-ფაშამ ბრძანება მიიღო შეაჩეროს დაკავებულ ადგილების მამაკაც-მცხოვრებთა იძულებული გაგზავნა საშუალოდ და სამშობლოში დაბრუნების ამ გვარ საშუალოზე გაგზავნილი.

ოსმალეთის დიპლომატიურ წარმომადგენლად სომხეთში დაინიშნა ახმედ-ალი-ფაშა, რომელიც უმე გამოვიდა სტამბოლიდან.

სპარსელების დავრეგა კეფაგანში ინგლისელებმა დაევიტეს რამდენიმე სპარსელი ოფიცერი და ქანდარბი, რომელთაც უარი შეეცხა ინგლისელთა „სამხრეთ-საბასტლ მსოფლითა რაზმში“ სამსახურის გაგრძელებაზე.

ხოლერა ქალაქის საავადმყოფოში მოათავსეს 2 ხოლერიანი და 8 სეპტო ავადმყოფი; მორჩი 2, გარდაიცვალა 1 ხოლერიანი და 3 სეპტო ავადმყოფი. ავეისტოს 21-ს სულ იყო 69 ხოლერიანი და 21 ხოლერის ნიშნით ავადმყოფი.

ახს. მიხ. აბრამიშვილი კერას ავეისტოს 25-ს სამასწავლებლო კურსებზე წაიკითხავს ლექციას „ესთეტიკაზე“ უმთავრესად შეეხება ემანუელ კანტის ესთეტიკურ თეორიას, დასაწყისი დილის 9 ს.

მარკელთა შეპყრობა. სიდილმლო მილიციამ ავეისტოს 16-ს რკინის გზის ლინდაღს იქით სომხთა სამინისტროსთან შეიპყრო მძაქველია და ქუ რდთა ორგანიზაცია, რომელთაც მრავა-

ლი ბოროტმოქმედება და მკაცრობა ბრალდებათ.

ხელო ავეისტოს 23-ს ავეია პირველ გინეზიის ბანკში. სტამბოლის სახაზე დანიშნულია ს-რევილიტიონერთა პარტიის ტფილისის ორგანიზაციის კრება ახანაივებს ევალეობათ აუ(ლუბლად დაესწრნენ

ს. დაღიანის ლექცია

დანიშნული იყო ხუთშაბათს ქ. თელავში შესდგება შაბათს, ავეისტოს 24-ს ახალი სტილით.

აწყური და ახასთუმანი. ოსმალეთის მთავრობამ აცნობა საქართველოს მთავრობას ამ დღეებში გაყვანილი იქნება ოსმალეთის ჯარი აწყურთუმნის რაიონიდან და ეს რაიონი საქართველოს რესპუბლიკას გადაეცემა.

სანატორიუმში ახასთუმანში. ექიმ გ. გოკიელმა თხოვნით მიმართა გარეშე საქმეთა მინისტრს იშუამდგომლის ოსმალეთის მთავრობის წინაშე, რომ მას ნება მისცენ განზარბოს შუშობა თავის სანატორიუმში (ახასთუმანში) რომელიც აქამდე საერობო კავშირის განკარგულებაში იყო, ხოლო ოსმალეთის შემოსვლის შემდეგ ოსმალეთს ჩაუვარდათ ხელში. მინისტრმა ყოველგვარი დახმარება აღუთქვა.

საერობო არჩევნები. სენაკის მახარაი საერობო არჩევნებში სოციალ-დემოკრატების ბლოკმა მიიღო 9280 ხმა სოციალისტ-რევოლუციონერებმა 2374 ხმა, ეროვნულ-დემოკრატიებმა 1031 ხმა. სულ მონაწილეობა 12735 ამომრჩეველი.

ოზურგეთში არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 1436 კაცმა, სოციალ-დემოკრატების და სოციალისტ-დემოკრატული ბლოკმა მიიღო 1214 ხმა, ეროვნულ დემოკრატიებმა 221 ხმა.

კვირას ავეისტოს 25-ს 10 ს. კობის ქუჩა № 9 დანიშნულია კრება თათბირი ყველა უწყების ქართველ მმტრისა ექიმთა და ფერმალთა. კითხვები: 1, ქართველ ვეტერინარ. ექიმთა საზოგადოების დაარსება, 2, ამიერკავკასიის ვეტერინათა საზოგადოების ლიკვიდაცია და სხვა საამდროო კითხვები, საქროა ახანაივები დაესწრნენ.

იოს გედევანიშვილის გენერლო ბა. სამხედრო მინისტრის განკარგულებით ბრძოლაში სიმამიციისათვის ბათუმის პარტიზანულ პოლკის კომანდირი იოსებ გედევანიშვილი წარდგინდა და დამტკიცებული იქნა გენერალ მაიორად

წარჩინებაში. სამხედრო მინისტრის ბრძანებით წარჩინება მიიღეს ბრძოლის დროს სიმამიციის გამოჩენისათვის: როტმისტრობა I ცხენოსან ოლქის შტაბის როტმისტრება სერგ. ლორთქიფანიძეს და ანტ. ცვაგარუსს. პორუჩიკობა ეზომთა I ცხენოსან პოლკის კორნეტებს, კიხოსრო და ირაკლი ამილახვარებს. კორნეტობა ეზომთა I ცხენოსან პოლკის პრაპორიკებს: სიმ. ამიროჯის და იოსებ კახაშვილს.

ტყუბულის მთავრობში. როგორც გადმოგვცემენ, მთავრობის წარმომადგენელი ესაძე რომელიც ტყუბულში გაგზავნილ იყო მუშებსა და იჯარადრების შორის კონფლიქტის მოსაგვარებლად დაბრუნდა. ტყბულში ის თურმე ვერას ვამხდარა.

ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსისაგან იმ უწყისთვის აღსაკვეთად, რომელსაც დღეს სამუშაოდ ფოსტისა და ტელეგრაფის კორესპონდენტის ჩაბარების საქმეში აქვს ალაგი, ვთხოვ ყველა სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებათა და ორგანიზაციების აგრეთვე ყველა თანამდებობის და კერძო პირთ, რათა ყველა იმ შემთხვევაში, როცა მათ თავის დროზე არ ემართათ ფოსტისა და ტელეგრაფის კორესპონდენცია, მოამართონ მე № 28 ტელეფონით და ამ როგად მომცენ შეძლება თავის დროზე მივიღო ზომები ამ ფრიად არასასურველ მოვლენის მოსაშობად. ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსი მკლამე

სომხეთის მთავრობამ ფინანსთა მინისტრის მოხსენებით დაადგინა: მიეცეს მთავრობის ყველა მოსამსხურეს ერთდროული დახმარება 300 მანეთი მარტოხელებს, ცოლშვილიანებს 300 მანეთის გარდა ოჯახის თითო წევრზე 100 მანეთი, ისე კი რომ დახმარება არ აღემტკიცოდეს 800 მანეთი.

გორის მახარაში. გორის მახარიდან იტყობინებინ პრაპაგანდისტებ რომ იქ სრული სიმშვიდეა, მდგომარეობის საერთო სურათი სასურველთა. ცნობა იმის შესახებ, რომ ანარტილი გამოხვლებს აქვს იქ ადვოლი სიმართლეს არის მოკლებული. სასოფლო კომისიის მიერ გაგზავნილ პროპაგანდისტებმა გაჟანტეს ის გაუფრებობა, რომელიც „ბოლშევიკები“ და სხვა ბნელი ელემენტების წყალობით დაიბადა ელემენტში.

სად. ქვალანი. გამარცხეს ბოლშევიკებმა და მოსამსახურეთა ტყვედ წაიყვანეს.

